

**გაეროს ეროვნული სააგენტოს აჭარის პირობათმორეგულირებელი ორგანიზაციის წევრები**

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოდერული, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი - 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 8-13, შიდა-თიან რაიონებში - 3-8 გრადუსი სითბო, მაღალ მთაში - 2 გრადუსი ყინვა-3 გრადუსი სითბო. ზღვის წყლის ტემპერატურა 8 გრადუსია, ატმოსფერული წნევა - 762 მილიმეტრი. ხვალ ამინდი შენარჩუნდება, ზევ მოსალოდნელია წვიმა, მთაში - თოვ.

**კრიკოსი N 101**

# მიზანი - საბიუჯეტო პროგრამებში მონაწილე მოქალაქეების კეთილდღეობა

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა უკრაინის ერთიანობის დღე მიულოცა. „16 თებერვალი გამოცხადდა უკრაინის ერთიანობის დღედ და მსურს, ამ მიზეზით პერიოდში უკრაინისთვის, ეს დღე მივულოცო ჩვენს უკრაინელ დებს და ძმებს. დღეს უკრაინის საელჩოში გაიმართება დროის აღმართვის ცერემონია, რომელსაც დაესწრება პარლამენტის ვიცე-სპიკერი და საქართველო-უკრაინის საპარლამენტო მეგობრობის ჯგუფის ხელმძღვანელი არჩილ თალაკვაძე. უკრაინელ ხალხს ვუსურვებ მშვიდობას და მხნეობას ამ მიზეზით პერიოდში“, - განაცხადა მან.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ლადო მგალობლიშვილმა საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე აჭარის უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო ინიციატივა პირველი მოსმენით წარადგინა.

„გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილების მიღების შემდეგ, აფხაზეთის ან აჭარის მთავრობების ნორმატიული აქტით შექმნილ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს გრანტის გაცემის უფლება მიენიჭება.

კანონპროექტის ავტორები აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე და უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ლადო მგალობლიშვილი არიან.

როგორც პლენარულ სხდომაზე გამოსვლისას ლადო მგალობლიშვილმა განაცხადა:



„კანონპროექტის მიზანი აჭარაში დასაქმებისა და ახალგაზრდული სფეროს ხელშეწყობის საბიუჯეტო პროგრამებში მონაწილე მოქალაქეების კეთილდღეობის ზრდაა.“

## აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი - ქობულეთის საკრებულოში

**ნათია იმნაიშვილი 27 48 93**

აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი გიორგი სურმანიძე, ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დასწრებით, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2022 წელს განსახორციელებელი პროგრამების შესახებ გამართულ პრეზენტაციას დაესწრო.

პროგრამების შესახებ ინფორმაცია შესვედრის მონაწილეებს სამინისტროს აგარარული დაგეგმვისა და განხორციელების პროგრამების განყოფილების უფროსმა კარლო კეკელიძემ და ა(ა)იპ „აგროსერვისცენტრის“ დირექტორმა გოჩა ბერიძემ გააცნეს. სამინისტროს 2022 წლის ბიუჯეტი 1 154 476 ლარით გაიზარდა და 20 055 441 ლარით განისაზღვრა.

იზრდება სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებებისა და საოჯახო მეურნეობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა. გაორმაგებულია სოფლად მეწარმეობის განვითარების ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების რაოდენობა. პროექტების მიზანია აჭარის სო-



ფლების ეკონომიკური გაძლიერება, ინვესტიციების მოზიდვა და დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა.

**რა ეკონომიკური გამოწვევების წინაშეა აჭარა?**

**«ლელო»... არავისთან აპირებს «ერთი ქოლგის» ქვეშ ყოფნას**

### გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 577 20 43 55.





# შარაშიძის პირველი და მეორე ჩიხების რეაბილიტაცია დაიწყო

ნათია იხნაიშვილი 27 48 93

შარაშიძის პირველი და მეორე ჩიხების რეაბილიტაცია დაიწყო. ამ ეტაპისთვის მიმდინარეობს სანიაღვრე სისტემის მოწყობა

სამუშაოების ფარგლებში გათვალისწინებულია ქუჩის მოასფალტება და ახალი გარეგანათების სისტემის მონტაჟი. პროექტის ღირებულება 938 ათას 184 ლარს შეადგენს.

შარაშიძის ჩიხებში უკვე განხორციელდა წყალმომარაგების ახალ ქსელზე დაერთება, რის შემდეგაც 500-მდე აბონენტს წყალი უწყვეტ რეჟიმში მიეწოდება.

გასული წლის ბოლოს, შარაშიძის ქუჩის მცხოვრებლებს შეეხვედოდა მოსახლეობის მხრიდან იყო თხოვნა, ჩატარებულიყო შარაშიძის პირველი და მეორე ჩიხების კეთილმოწყობა. მათი ინტერესების გათვალისწინებით, უკვე დაიწყო ინფრასტრუქტურული სამუშაოები, რომელიც სექტემბერში დასრულდება.

აეროპორტის ადმინისტრაციულ ერთეულში დაგეგმილია მეჯინისწყლის არსზე დამცავი კედლის, სპორტული ინფრასტრუქტურისა



და რეკრეაციული სივრცეების მოწყობა. ასევე, ახალი საბავშვო ატრაქციონების მონტაჟი. ჩვენი მხრიდან მაქსიმალურად მოხდება შემოერთებული ტერიტორიების განვითარება, - თქვა ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა.

# არჩილ ჩიქოვანი კახაბრის ადმინისტრაციული ერთეულის მსხოვრებლებს შეხვდა

ნათია შუტაბაძე 27 48 93

ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი კახაბრის ადმინისტრაციული ერთეულის მცხოვრებლებს შეხვდა. ისაუბრეს მოსახლეობისთვის აქტუალურ თემებზე. ძირითად საკითხებად წაინაცვინა, სოციალური, არქიტექტურული მიმართულებები და ინფრასტრუქტურის განვითარება გამოიკვეთა. არჩილ ჩიქოვანის თქმით, ყველა შემოსული პრობლემა თანმიმდევრულად გადაწყდება. შესაბამის სამსახურებს მიეცათ დავალებები, რათა მოკლე პერიოდში კონკრეტული პასუხებითა და გადაწყვეტილებებით დაუბრუნდნენ თანამოქალაქეებს.

ამ ეტაპზე, კახაბრის ადმინისტრაციულ ერთეულში, ათეულობით მისამართზე მიმდინარეობს მნიშვნელოვანი სამუშაოები - სტიქიის სალიკვიდაციო და ფერდსამაგრი კედლის მოწყობა. ასევე, როგორც მისამართებზე - სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია. როგორც არჩილ ჩიქოვანმა აღნიშნა, გასულ წელს ხუთ მილიონზე მეტი ლარი



გამოიყო იმ საკითხების მოსაწესრიგებლად, რომელთა შესახებაც მოსახლეობამ მიმართა ბათუმის მერიას. ეს არის როგორც გზებისა და სპორტული მოედნის რეაბილიტაცია, ასევე, საავტომობილო ხილების მშენებლობა და სკვერის მოწყობა.

# აჭარაში ამ დროისთვის სულ 323 841 დოზა ვაქცინაა აღმინისტრირებული

ნათია იხნაიშვილი 27 48 93

სოფლად მოსახლეობასთან შეხვედრების ფარგლებში, აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე მარი ზანაქიძე, აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ფატი ხალვაში, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიისა და სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად, დაბა ჩაქვის მოსახლეობას შეხვდნენ და ვაქცინაციის მნიშვნელობაზე, უსაფრთხოებასა და სარგებელზე ესაუბრნენ. შეხვედრის მონაწილეებს მიეწოდათ, ასევე, ვაქცინაციის წახალისების მიზნით, უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, კერძოდ, 50 წელს გადაცილებული ყველა ის მოქალაქე, რომელიც კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინის პირველი დოზით აიცრება, ერთჯერადად 200-ლარიან დანაშაულს მიიღებს, ხოლო ბუსტერდოზით აცრის შემთხვევაში, ერთჯერადად - 100-ლარიან დანაშაულს. აღნიშნული აქცია თებერვლის ბოლომდე გრძელდება.



სასურველი ვაქცინით აიცრნენ. აჭარაში ამ დროისთვის სულ 323 841 დოზა ვაქცინაა აღმინისტრირებული.

საინფორმაციო შეხვედრის ბოლოს მსურველები ამბულატორიაში


# „ალი და ნინოს“ რეაბილიტაცია უტარდება

ნათია იხნაიშვილი 27 48 93

ბათუმის ბულვარის ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი ღირსშესანიშნაობა „ალი და ნინოს“ მალე განახლებული განათების და მოძრაობის სისტემით გააგრძელებს ვიზიტორების მოზიზღვას

სიყვარულის მოძრაე სკულპტურას, ავტორის - თამარ კვეციანის კომპანია „თქ სტუდიოს“ მიერ ჩაუტარდა რეაბილიტაცია. ავტორის გადაწყვეტილებით, სრულად შეიცვალა ღამის განათების სისტემა და სკულპტურა სხვადასხვა ფერში განათდება.

„ალი და ნინოს“ განათების სისტემის განახლება უახლოეს დღეებში დასრულდება.



# სტუდენტთა დახმარების პროგრამის ფარგლებში კონკურსი გამოცხადდა

ნათია შუტაბაძე 27 48 93

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, სტუდენტთა დახმარების პროგრამის ფარგლებში, პირველი კურსის სტუდენტების დაფინანსებისთვის კონკურსს აცხადებს.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ პირველი კურსის სტუდენტებს, რომლებიც სწავლობენ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში: ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინ-

ტეგრირებულ სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, ბოლო სემესტრის საშუალო აკადემიური მოსწრება ტოლია ან მეტი 71%-ისა და განეკუთვნება ერთ-ერთ კატეგორიას.

დანიტერესებულ პირებს განცხადებისა და კატეგორიის შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა შეუძლიათ მატერიალური ფორმით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში.

# შეხვედრა - მოსახლეობასთან

ნათია იხნაიშვილი 27 48 93

ბათუმის მერი განაგრძობს მოსახლეობასთან შეხვედრებს. თამარის ადმინისტრაციულ ერთეულში არჩილ ჩიქოვანი ქათამაძის ქუჩის მცხოვრებლებს შეხვდა და ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობასთან დაკავშირებით ინფორმაცია მიაწოდა.

ამ ეტაპზე, ქათამაძის ქუჩაზე მიმდინარეობს ძველი საბავშვო ბაღის შენობის დემონტაჟი, წლის ბოლოს კი ორსართულიანი, 280 ბავშვზე გათვლილი ახალი საბავშვო ბაღი აშენდება. პროექტის ღირებულება 2 მილიონ 574 ათას ლარია.

თამარის ადმინისტრაციულ ერთეულში ინფრასტრუქტურული სამუშაოები ინტენსიურად მიმდინარეობს. დაიწყო ტბეთის ქუჩისა და შესახვევის რეაბილიტაცია. ამ ეტაპზე, ხორციელდება სანიაღვრე სისტემის მოწყობა. პროექტი ითვალისწინებს გზის მოასფალტებას, ბორდიურებისა და ტროტუარების კეთილმოწყობას. სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის ქალაქის ბიუჯეტიდან მილიონ 61 ათასი ლარი გამოიყო. ქუჩის რეაბილიტაცია ივნისში დასრულდება.

ზემოთ აღნიშნულ ადმინისტრაციულ ერთეულში უკვე განხორციელდა: ე.წ. ბარცხანის ხიდის რეაბილიტაცია, გრიშაშვილის ჩიხის კეთილმოწყობა, სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა სპორტულ მოედნებს და დამონტაჟდა ახალი ტრენაჟორები. ტბეთის შესახვევში განხორციელდა მრავალბინიანი სახლების სახურავების რეაბილიტაცია. 30-მდე მისამართზე, მრავალბინიან ეზოებში, განახლდა ინფრასტრუქტურა. 200-მდე აბონენტი გადაერთო წყალარინების ახალ ქსელზე.

2022 წელს თამარის ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელდება: ტბეთის ქუჩისა და ტბეთის შესახვევის კეთილმოწყობა, ქათამაძის ქუჩაზე - მრავალბინიანი სახლის სახურავის რეაბილიტაცია, ძმები ნობელის ქუჩის №44-ში - კომუნალური სისტემის მოწყობა, გრიშაშვილის ქუჩაზე - ახალი ლიფტების მონტაჟი, ნონეშვილის ქუჩაზე განახლდება ატრაქციონები, ქათამაძის ქუჩაზე კი აშენდება ახალი საბავშვო ბაღი.











